ადრესატი:

ნუგზარ ჯამბურია
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**63-63233035**
თარიღი: **30/10/2023**

ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს თავმჯდომარის, ტარიელ დვალიშვილის,

2023 წლის 1 იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით ანგარიში, გაწეული მუშაობის შესახებ.

მოგახსენებთ, რომ მე-5 მოწვევის საკრებულოში, გახლავართ ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს თავმჯდომარე.

დიდი პატივია იყო საკრებულოს წევრი, ატარო ეს მანდატი და იმუშაო ჩვენი მუნიციპალიტეტის კეთილდღეობისთვის. ძალიან მნიშვნელოვანია საკრებულოს თითოეული წევრის წვლილი მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობაში, იმისთვის, რომ მივიღოთ მისი სწორად განვითარებისთვის შესაბამისი გადაწყვეტილებები. მონიჭებული მანდატის განმავლობაში, ჩვენ, ყველანი ერთობლივად შევძლებთ განვახორციელოთ ჩვენი ქალაქისა და თანამოქალაქეებისთვის სასიკეთო საქმიანობა. დაგვჭირდება ერთობლივი მუშაობა იმისთვის, რომ წარმატებით დავძლიოთ ჩვენს წინაშე მდგარი გამოწვევები და ერთობლივად დავგეგმოთ ჩვენი საკეთილდღეო პროექტები.

მოცემული ანგარიში მოიცავს 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მე-5 მოწვევის საკრებულო საქმიანობას შეუდგა 2021 წლის 3 დეკემბრიდან. ამ ხნის მანძილზე საკრებულოს ხელმძღვანელობა, საკრებულოს თანამდებობის პირები, საკრებულოს თითოეული წევრი აქტიურად იყო ჩართული მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. მე ვთვლი, რომ განვლილ პერიოდში საკრებულოს საქმიანობა იყო ნაყოფიერი, საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გამომდინარეობდა იმ პრობლემებიდან და საკითხებიდან, რომლებიც აწუხებს ჩვენს ამომრჩეველს. რიგ საკითხებზე, რომელიც საკრებულოს სხდომებზე განიხილებოდა იყო ცხარე კამათი, პრობლემების გადაჭრისათვის მიდგომის განსხვავებული პოზიციები და იყო რათქმა უნდა ხარვეზები ამ პრობლემების მოგვარების გზების შერჩევაში.

ადამიანები ხმას აძლევენ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც მათი აზრით უკეთ გამოხატავენ თვითმმართველ ერთეულში მცხოვრები სხვადასხვა ჯგუფების ინტერესებს. ამიტომ საკრებულოში არჩევნების შედეგად პროპორციულად არის წარმოდგენილი სხვადასხვა საზოგადოებრივი თუ სოციალური ჯგუფის ინტერესი. საკრებულოს აქტიურობაზეა დამოკიდებული მოსახლეობისგან წამოსული ინტერესების მხარდაჭერა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი გათვალისწინება.

V მოწვევის საკრებულოში ფრაქცია „ქართული ოცნება’’, 22 წევრისგან შედგება.

ფრაქციის წესდების და სამუშაო გეგმის გათვალისწინებით, ფრაქციის სხდომა

იმართება თვეში მინიმუმ ერთხელ, სადაც განიხილება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მნიშვნელოვანი საკითხები, რის შემდეგაც მზადდება რეკომენდაციები, რომელიც შემდგომში საკრებულოს სხდომაზე, ერთიან, შეჯერებულ პოზიციაში გამოიხატება.

ფრაქცია შეიქმნა საერთო პოლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა მიერ უფლებამოსილების ეფექტურად განხორციელებისა და საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით. ჩვენი საქმიანობა ეფუძნება საჯაროობის, დამოუკიდებლობისა და თანასწორობის პრინციპებს და ძირითად მიზნებსა და ამოცანებს წარმოადგენს: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიერ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, გარანტირებული უფლებების განხორციელება; დემოკრატიული ღირებულებების, საერთო- სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ინტერესების გათვალისწინებით, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის საჯაროობისა და გამჭირვალობის უზრუნველყოფა; მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯვის მკაცრი კონტროლი, საბიუჯეტო სახსრების მიზნობრიობის განსაზღვრა და მის განკარგვაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

ფრაქცია შექმნილია საერთო პოლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა მიერ უფლებამოსილებების ეფექტურად განხორციელებისა და საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით.

ფრაქციის საქმიანობას საფუძვლად უდევს შემდეგი პრინციპები:

* ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის საჯაროობა.

* დამოუკიდებლობა და თვითმმართველობა.

* ფრაქციაში გაწევრიანებისა და ფრაქციიდან გასვლის ნებაყოფლობითობა.

* თანასწორობა კანონის წინაშე.

ჩვენი უფლებამოსილების ცნობიდან (2021 წლის 3 დეკემბერი) გავიდა 1,9 წელი.

მიმდინარე წლის 1 იანვრიდან დღემდე მოწვეული იქნა და ჩატარდა საკრებულოს 9 ხდომა (მათ შორის 2 რიგგარეშე სხდომა, რიგგარეშე სხდომები ძირითადად მოწვეული იყო მუნიციპალიტეტის მერის წინადადებით). ჩატარდა ბიუროს 19 სხდომა, საკრებულოს ამ პერიოდში განხილული აქვს 144 საკითხი, რაზედაც მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილებები. მათ შორის დადგენილება გამოტანილია 19 საკითხზე, ხოლო განკარგულება 125 საკითხზე.

საკრებულოს საქმიანობა, საკრებულოში მიმდინარე ყველა პროცესი გამჭირვალეა. საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და ბიუროს, ასევე ფრაქციის სხდომები ტარდება ღიად და ყველა დაინტერესებულ პირს აქვს საშუალება დაესწროს მას.

ფრაქციის სხდომებზე განხილული იქნა ფრაქციის წევრების მიერ ინიცირებული და სხვადასხვა საკითხები:

1. თურქეთის რესპუბლიკის ჰუმანიტარული დახმარების შესახებ.

მოგეხსენებათ ჩვენს მეზობელ ქვეყანაში, თურქეთში მოხდა დამანგრეველი მიწისძვრა. ფრაქციის წევრების ინიციატივით ტრაგედიას გადარჩენილი ადამიანების დასახმარებლად შეგროვდა ჰუმანიტარული ტვირთი სპეციალურად გახსნილ შტაბში და შემდგომში ეს დახმარება გაიგზავნა თურქეთის პროვინციებში.

2. ინფორმაცია, ,,აწარმოე საქართველო“_ს პროგრამების შესახებ.

ჩემი იდეა იყო ამ საკითხთან დაკავშირებით მოგვეწვია ფრაქციის სხდომა და გვემსჯელა, რათა მოსახლეობისათვის მიგვეწოდებინა ინფორმაცია, სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის შესახებ. არსებობს შეღავათიანი აგროკრედიტები, რომელსაც სახელმწიფო მრავალი წელია ახორციელებს. ამ საკითხთან დაკავშირებით ფრაქციის სხდომაზე მოწვეული გვყავდა სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს, სამტრედიის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის ხელმძღვანელი - მამუკა კვანტალიანი, რომელმაც მოგვაწოდა დეტალური ინფორმაცია.

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტში არსებული უმოქმედო ბალნეოლოგიური კურორტის ფუნქციის აღდგენის შესახებ.

ზემოაღნიშნული ინიციატივა ფრაქციის წევრებს წარუდგინა ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილემ, ქალბატონმა ლიზა კრავეიშვილმა.

ბალნეოლოგიური კურორტის ფუნქციის დაბრუნების მიზნით გამართულმა საგნობრივმა დისკუსიამ გამოკვეთა უპრეცედენტო ერთსულოვნება. ვინაიდან თემა საკმაოდ რთულია და აღემატება მუნიციპალიტეტის კომპეტენციას, ეთხოვოს მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ დავით ბახტაძეს, შეიქმნას მუშა ჯგუფი, რომელიც უმოკლეს ვადაში შეიმუშავებს შესაბამის გეგმას: წყლის ანალიზის ლაბორატორიულ შემოწმებას და გაცემული ლიცენზიის კანონიერებას, ხოლო გაყალბებული ფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში კანონიერ რეაგირებას.

4. ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტში წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ინფრასტრუქტურის შექმნისთვის შესასრულებელი სამუშაობის შესახებ.

ეს არის საუკუნის პროექტი, რომელიც ეკუთვნის გერმანულ კომპანიას, ისინი თავად არჩევენ სამშენებლო კომპანიებს და ზედამხედველობასაც თვითონ გაუწევენ სამუშაოებს, რომელიც გაგრძელდება დაახლოებით 3 წლის განმავლობაში და სრულად მოიცავს სამტრედიის მუნიციპალიტეტს. გერმანული კომპანია ჩვენი მუნიციპალიტეტის ინფრსატრუქტურის სამსახურთან და წყალმომარაგების კომპანიის ხელმძღვანელთან ერთად განიხილავს ყველა ნიუანს.

მისასალმებელი პროექტია, რომელიც მარადიულ პრობლემას გადაწყვეტს.

5. ინფორმაცია, შოვში მომხდარი სტიქიის გამო, სამაშველო ოპერაციაში მონაწილეებისათვის საკვები პროდუქტების შეძენა-მიწოდების უზრუნველყოფის შესახებ.

ეს იყო ინიციატივა, სადაც მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა მუნიციპალიტეტი და შესაძლებლობის ფარგლებში მოხდა საკვები პროდუქტების უზრუნველყოფა სამაშველო ოპერაციაში მონაწილეთათვის.

ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მომზადდა შესაბამისი ოქმები და მოხდა მათი დადგენილი წესით გამოქვეყნება ელექტრონულ სისტემაში.

შეგახსენებთ იმასაც, რომ ფრაქციის ინიციატივით თამარ მეფის ქუჩაზე, რკინიგზის წინ მდებარე მოედანს, ნიკო ნიკოლაძის სახელისა და მისი საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით მიენიჭა დიდი ქართველის, პირველი ევოპელის და საზოგადო მოღვაწის, ნიკო ნიკოლაძის სახელი.

ასევე, მოგახსენებთ, რომ ვარ ორი კომისიის - განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა და შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი, გენდერული საბჭოს წევრი და აქტიურად ვიღებ მონაწილეობას სხვადასხვა საკითხის განხილვაში.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს ღონისძიებები გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/

და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიზნით. 2016 წელს, „გენდერული თანასწორობის შესახებ“, საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილების თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაევალათ ადგილებზე შეექმნა „მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო“. სამტრედიის მუნიციპალიტეტში აღნიშნული კანონის შესაბამისად, შექმნილია „მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო“ . დამტკიცდა საბჭოს დებულება მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით.

როგორც გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი, აქტიურად ვარ ჩართული საბჭოს საქმიანობაში, განხორციელებულ პროექტებსა და ტრენინგებში.

ტრენინგები :

,,სამტრედიის რაიონული პროკურატურა” - გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობის წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში ,,არა ფემიციდს“.

,,დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი“ - ძალადობა, დაცვის მექანიზმები და ელექტრონული სამაჯურის გამოყენება.

,,რეგიონული განვითარების მხარდაჭერის ცენტრი“ - აუნაზღაურებელი შრომის თანაბარი გადანაწილება და კაცების ჩართულობა.

,,სახალხო დამცველი“ - ,,სექსუალური შევიწროვება და დისკრიმინაცია.

ასევე, ვესწრებოდი ,,ფონდი სოხუმი“, ა(ა)იპ რეგიონული ინიციატივების ცენტრი ,,ნათელი მომავალი“ და ა(ა)იპ ,,საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება“ს მიერ გამართულ შეხვედრებს.

მონაწილეობას ვღებულობდი, ყველა იმ ღონისძიებასა და აქციაში, რომელსაც მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო შეუერთდა (ქალთა დღე, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე...)

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც საქართველოს მთავრობის ინიციატივით დაიწყო წლის დასაწყიში და მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად აქტიურად ჩავერთვეთ, შეეხება სოციალურად დაუცველი პირების დასაქმების პროგრამას. აღნიშნულ პროგრამა დასაქმების ხელშემწყობ სხვა ღონისძიებებს შორის შრომისუნარიანი სოციალურად დაუცველი მოქალაქეების საზოგადებრივ სამუშაოებზე დასაქმებას ითვალისწინებს. ფრაქცია აქტიურად ჩაერთო აღნიშნულ პროგრამაში და მისი ინიციატივით მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სფეროში დასაქმებული იქნა არაერთი სოციალურად დაუცველი პირი.

ჩვენ დავამტკიცეთ მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი, რომლის დეტალური განხილვა მოხდა საკრებულოს კომისიებში, და რა თქმა უნდა ფრაქციის სხდომაზე. აიტვირთა მუნიციპალიტეტის ვებგერდზე, ასვე ჩვენს ამომრჩევლებს საშუალება ჰქონდა გაცნობოდა ბიუჯეტის პროექტს „ჩვენი გაზეთის“ ფურცლებზე. მუნიციპალიტეტის ახალი ბიუჯეტი კვლავ რჩება ორიენტირებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე და სოციალური საკითხების გადაჭრაზე, პრიორიტეტული იქნება კვლავ ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარება, კვლავ გაგრძელდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამით სოფლის მოსახლეობისათვის აუცილებელი პრობლემების მოგვარება, აქტიურად მიმდინარეობს პრემიერის ინიციატივის ,,განახლებული რეგიონების პროგრამის ფარგლებში სამუშაოები. რაც გულისხმობს ქალაქ სამტრედიის ცენტრში, თამარ მეფის ქუჩაზე ფასადების მოპირკეთებას და სკვერების რეაბილიტაციას. ასევე აქტიურად გრძელდება მუნიციპალიტეტში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის რეაბილიტაციის პროექტზე მუშაობა. ჩვენი მიზანია, პროექტები და პროგრამები, რომელიც დაფინანსდება ამ ბიუჯეტით შესრულდეს უმოკლეს დროში და ხარისხიანად. ჩვენს საქმიანობაში ძალზედ მნიშვნელოვანია ადგილობრივი ხელისუფლების ერთიანობის პრინციპი, რომელიც გულისხმობს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელ

ორგანოთა ერთიან ორგანიზმად არსებობას, რაც დღემდე შენარჩუნებულია საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის მერიას შორის, საკრებულოს ყოველთვის ჰქონდა კოლეგიალურ თანამშრომლობაზე დამყარებული საქმიანობა, როგორც მუნიციპალიტეტის მერთან, ასევე მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან 2022 წლის 21 დეკემბერს საკრებულომ N80 დადგენილებით, მიიღო ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტი, 2023 წლის ბუჯეტი, რომელიც წარმოდგენილია **22 890 500** ***ლარის ოდენობით..*** აღნიშნულ ბიუჯეტში, შესაძლებლობის ფარგლებში, გათვალისწინებული იქნა საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციის მიერ მერიაში წარდგენილი შენიშნვნები და წინადადებები. დღეის მდგომარეობით ბიუჯეტში განხორციელდა 6 ცვლილება.

ფრაქციის და შესაბამისად, საკრებულოს საქმიანობაში განსაკუთრებული როლი ეკისრება მაჟორიტარი საკრებულოს წევრების საქმიანობას. მინდა ავღნიშნო, რომ საკრებულოში არჩეულია 11 მაჟორიტარი საკრებულოს წევრი, რომლებიც რეალურად ფლობენ სოფლებში არსებულ პრობლემებს, აქტიურად არიან ჩართული ამ პრობლემების გადაჭრის საშუალებების მოძიებაში. მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებთან ერთობლივი მუშაობის შედეგად, კეთილ მოეწყო სოფლის ინფრასტრუქტურული ობიექტები, მაჟორიტარი დეპუტატების მხრიდან განხორციელებული ზედამხედველობისა და კონტროლის შედეგია, ის, რომ ყველა ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც დაწყებული იქნა 2022 წელს დამთავრებულია ან დამთავრების სტადიაშია და 2023 წლის განმავლობაში დასრულდება. აქტიურად მიმდინარებს მუშაობა მიმდინარე წელს „ სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული სამუშაოების შერჩევისა და დროულად დაწყებისათვის. ასევე მნიშვნელოვანია ჩვენი მაჟორიტარი საკრებულოს წევრების წვლილი ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, მათი ჯანმრთელობის დაცვისა და პირადი პრობლემების მოგვარების საკითხებში. ყოველი მათგანი ზუსტად ფლობს ინფორმაციას მათ სამოქმედო ტერიტორიაზე მოქალაქეთა ყოფით ცხოვრებაზე.

რამდენიმე სიტყვით მინდა შევეხო საკრებულოში საკითხების განხილვის დროს არსებულ ოპოზიციურ განწყობას. განვლილი მუშაობის პერიოდში ხშირად იყო საკითხების განხილვის დროს განსხვავებული აზრი, ზოგჯერ კონსტრუქციულიც. ეს არ შეეხება მხოლოდ საკრებულოში წარმოდგენილ ოპოზიციურ პარტიებს, რადგან უმრავლესობაშიც იყო აზრთა სხვადასხვაობა ცალკეული საკითხებისადმი,. მადლობა მათ ოპონირებისათვის და იმედია ეს განწყობა მომავალშიც გაგრძელდება და ბოლოს, მინდა მადლობა გადავუხადო მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყველა წევრს, საკრებულოს კომისიისა და საკრებულოს აპარატს ნაყოფიერი საქმიანობისა და თანამშრომლობისათვის,

მადლობა მინდა გითხრათ ფრაქციის ყველა წევრს გვერდით დგომისა და ერთსულოვნებისათვის.

ფრაქცია ,,ქართული ოცნება“ სამუშაო გეგმის მიხედვით, აგრძელებს მუშაობას.

ტარიელ დვალიშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ფრაქცია ,,ქართული ოცნება”-ფრაქცია ,,ქართული ოცნება”-ს თავმჯდომარე